1877—1897

# ივერია

№ 111

კვირა, 8 ივნისი 1897 წ.

**ხაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| [illegible] | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 1 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 1 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 111

კვირა, 8 ივნისი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., შემოხვზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დარია ზაზას ასული გაბაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებს რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ქმრისა თვისისა **ისიდორე იაგორის ძის გაბაშვილისას**, უმორჩილესადა სთხოვს მობრძანდნენ მიცვალებულის განსასვენებლად ქ. ქუთაისს, წმ. გიორგის ეკკლესიაში, ამ ივნისის ათს, საღამოს ხუთს საათზედ. (2—1)

**კბილის ექიმი**
**ვ. ი. ჭიჭინაძე**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21 („ივერიის“ რედაქციის ქვეშ).

**უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო**
საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 8 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე, მთავარ-მართებლის სახლის დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება სამზრუნველოს განყოფილების საბჭოს მორიგ წევრთა ამოსარჩევად და საზოგადოების 1895-96 წ. წ. მოქმედების ანგარიშის განსახილველად. (3—3)

მუშტაიდის ბაღში
კვირას, 8 ივნისს, მესამე დედათა გიმნაზიის მოსწავლეთა დამხმარებელ საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება
სახალხო სეირნობა ლატარია-ალეგრით.
სეირნობის დროს დაუკრავს რამდენიმე ხორო მუსიკისა. საღამო ქამზედ შუშხუნები იქნება აშვებული.
შესასვლელი და ლატარიის ბილეთი ეღირება თითო აბაზი.
თუ ცუდი ამინდი დადგა, სეირნობა გადაიდება ორშაბათისთვის და ამ დღეს სეირნობა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზედ. (2—უ.—2)

**სამკურნალო და ამბულატორია**
**ს. ბ. თოფურიასი**
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა, და დედათა ავადმყოფობისანი.**
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფებს შიაგასინჯავენ დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.
შინაგანს ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ძ. გერრატი.**
დედათა ავადმყოფობას და საბებიოს მკურნალი **ე. ფ. ბაცევიჩი** (20 მაისს), და მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. ძ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი საქიმიო და საბაქტეორიოლოგიო გამოკვლევისა, ელექტრონით წამლობისა და მასაჟისთვის.
ამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია** (10—ნ.—10)

## მთავრობის განკარგულებანი

საყოველთაო ბრძანება შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტისა გუბერნატორების მიმართ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარუდგინეს განსახილველად ინჟინერ-მეხანიკოსმა ტოტენმა და ასტაფიევმა ახლად გამოგონილი კენჭის საყრელი მანქანა. ამ მანქანით კენჭის ყრა შეიძლება მხოლოდერთი კენჭის შემწეობით. შიგნით მანქანა ისეა მოწყობილი, რომ რამდენიც კენჭი ჩავარდება, იმდენი დაინიშნება, ასე რომ ბოლოს ერთად შეიძლება გაიგოს კაცმა რამდენჯერ იქმნა კენჭი ჩაგდებული.

ხსენებულის მანქანის გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ იგი ძალიან ადვილებს კენჭის ყრას და შეუძლებელ ჰყოფს ამ საქმეში ყოველ გვარ ბოროტ-მოქმედებას.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოიწონა რა ხსენებული მანქანა, სასურველად სცნო, რომ იგი იხმარებოდეს ქალაქისა და სხვა დაწესებულებებში; ამიტომ სამეურნეო დეპარტამენტმა მისწერა ყველა გუბერნატორებს, რომ კენჭის ყრის დროს ეს მანქანა იხმარონ ხოლმე.

გადაყვანილ იქმნა ტფილისის პოლიცმეისტერის კანცელარიის მოხელე დავითაია—ქალაქ ერევნის პოლიციის სამმართველოს მოხელედ.

## ახალი ამბავი

⁂ როგორც შევიტყეთ, საშუალო სასწავლებლებში იმ სწავლადამთავრებულებმა, რომელთაც უმაღლესს სასწავლებლებში სწავლის განსაგრძობად წასვლა აქვთ განზრახული, ეხლავე უნდა წარუდგინონ თურმე სამხედრო ბეგრის გამგე საკრებულოთ თავიანთი მოწმობანი და ჯეროვანს სამხედრო ნაწილებში იქმნან ჩაწერილნი. მოწმობათა პირი საკრებულოში დარჩება, ხოლო თვითონ ასლი კუთვნილებისამებრ დაუბრუნდებათ, რომ უმაღლესს სასწავლებლებში წარადგინონ.

⁂ 4 ივნისს ტფილისის ხელოსანთა კრებამ დაადგინა: გადაუხადოს გულითადი მადლობა აწ გარდაცვალებულის გენერალის თავადის ნიკოლოოზ ზურაბის ძის ჭავჭავაძის მახლობელთ და მათის იმპერატორებითი უდიდებულესობითი კარის ეგერმეისტერს თავ. მელიქიშვილს 1000 მანეთის შეწირვისათვის ხელოსანთა საქველმოქმედო თანხის შესადგენად.

⁂ სახალხო სასწავლებლების დირექტორს უთხოვნია გუბერნატორისათვის, რომ მან ტფილისის მაზრის სოფელ გლდანის სასწავლებლის საპატიო მეთვალყურის თანამდებობაზედ დაამტკიცოს იმავე სოფლის მემამულე, ექიმი ვაწაძე.

⁂ შუამდგომლობაა აღძრული, რომ თელავის მაზრის სოფელ შაშიანში ორ-კლასიანი საეკკლესიო-სამრევლო სკოლა იქმნას დაარსებული.

⁂ სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო მამულების მინისტრის ნებადართვით, კავკასიის სამთო გამგეობის უფროსი ჰგზავნის დუშეთის მაზრაში არაგვის ხეობის გამოსაკვლევად გეოლოგს სიმონოვიჩს.

⁂ 1896 წელს ტფილისში ყოფილა სულ 2,441 სახელოსნო, 2,968 ამქრებში ჩაწერილი ხელოსანი, 2,679 - ქარგალი, 1,986—შეგირდი და 485 მუშა კაცი სახელოსნოებში.

⁂ რუსულს დრამატიულს დასს ახალს სახაზინო თეატრში სულ სამი წარმოდგენა-ღა ექმნება გამართული და შემდეგ დასი ტფილისს გამოეთხოვება.

⁂ 6 ივნისს, ნაშუაღამევისს $1^1/_2$ საათზედ, სად. ავჭალაში შემდეგი უბედურება მოხდა: მცხეთიდგან მომავალი საქონლის მატარებელი ტფილისიდგან მიმავალს უცდიდა სადგურზედ. ამ დროს მემაშინეს თანაშემწე ზარემბა გადმოვიდა და ზედლიანდაგზე დაჯდა. ცდის დროს ჩაეძინა თურმე და ტფილისიდგან ამოსულმა მატარებელმა ზედ შუაზედ გაწყვიტა.

⁂ 15 ივნისიდამ კავკასიის სააბრეშუმო სადგურზედ აბრეშუმის ჭიის მოვლისა და ფუტკრის მოშენების შესახებ ლექციების კითხვა დაიწყება. ლექციების მოსასმენად კავკასიის სხვადასხვა ადგილებიდგან სოფლის მასწავლებლები ჩამოვლენ. ლექციების მოსმენა გარეშეთაც შეუძლიანთ.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერს შეუტყობინებია ქალაქის გამგეობისათვის, რომ ქალაქის სახლის ის ნაწილი, სადაც გამგეობა არის მოთავსებული, მეტად ცუდს მდგომარეობაშიაო: კედლები დახეთქილია, ბუხრები გაფუჭებულია და სხ. ამიტომ კომისია დანიშნეთ ტეხნიკოსებისაგან ხსენებულის სახლის გასასინჯად და შესამოწმებლადაო.

⁂ წელს ტფილისის დიდის მთავრინას ოლგა თეოდორეს ასულის დედათა პირველ გიმნაზიაში სწავლა დაამთავრა სულ—51 მოსწავლე ქალმა, მათ შორის 18 ქალმა შინაურის აღმზრდელის წოდება მიიღო, დანარჩენთ—შინაურის მასწავლებლისა.

რუსული ენის განყოფილება გაათავა 21 მოსწავლე ქალმა, მათ შორის შინაურის აღმზრდელის წოდებით ორმა ქართველმა: ოლგა ფარადაშვილისამ და თამარა ჩიჯავაძემ.

მათემატიკის განყოფილება—17 ქალმა, მათ შორის 2 ქართველმა შინაური მასწავლებლის წოდებით: სოფიო გვარამაძემ და ოლგა სულხანიშვილისამ.

ისტორიისა და გეოგრაფიის განყოფილება—13 ქალმა, მათ შორის

## ფელეტონი

—

**ნაწყვეტი**

—

მაღლიდამ გადმოჩანჩქარებს
ტინზედ მთის წყარო ჩხრიალით
და გალიპულსა მწვანეზედ
მირბის თავ-დალმა სრიალით,
მირბის და გულზედ აკვდება
მინდორში ბალებს ტრიალით,
წყლისაგან ლალობს ნათესი
მწვანე ფოთლების ფრიალით.

დ. მაჩხანელი

---

## თიანეთის სავაჭრო ამხანაგობა

(დასასრული *)

სწორედ ეს შეცდომის მიზეზის განმარტება ამხანაგობის ზოგიერთ წევრთ საეჭვოდ მიიღეს და ამ შეცდომაში ბოროტ-მოქმედება დაინახეს. სწორედ ამიტომ კრებამ ერთხმად გარდასწყვიტა, მოხდეს ხელ-ახლად სავაჭროს რევიზია და რაც შეიძლება დაწვრილებით გამოირკვეს სავაჭროს შვიდმეტის თვის მსვლელობა და მისი მდგომარეობა 1897 წლის 1 იანვრისათვის. ამ საქმის ასასრულებლად კრებამ რევიზიის სამის წევრის საშველად ამოირჩია ის ორი წევრი, რომელთაც ზემო აღნიშნული შეცდომა და მის განმარტება საეჭვოდ დასახეს.

აბა ეხლა გავითვალისწინოთ როგორ პირ-ნათლად შესრულდა ახლად დანიშნული სავაჭროს რევიზია, რომელიც 1896 წ. 26 დეკემბერს დაიწყო და ამ წლის 3 თებერვალს დამთავრდა.

ჩვენ არ შევალთ იმის განხილვაში, თუ ბ-ნთ რევიზორებს რადა სჭირდებოდათ გაუთავებელი ცილობა და გაცხარებული ვაჭრობა რევიზიის დროს სავაჭროში აღმოჩენილ საქონლის ფასების განაწილების დროს. ვიტყვით მხოლოდ, რომ სწორდებოდა ციფირები ოც-და-თვრამეტ დღე-ღამეში და წამებულ ციფირებით შედგენილი ანგარიში ამ წლის 3 თებერვალს ძლივს მოხსენდა ამხანაგობის წევრთა კრებას.

აი თვით ანგარიში: შეძლება: გასასყიდი საქონელი 644 მან. 17 კ., წევრებზედ ნისია—236 მან. 21 კაპ., ნაღდი კასაში—160 მან., 26 კაპ, სავაჭროს ავეჯი (ინვენტარი)—107 მ. 20 კაპ., სულ 1147 მან. 84 კაპ. ვალი: თანხა პაების ანგარიშით—750 მან., გადუხდელი ვალი—400 მან. და ნოქრების დეკემბრის ჯამაგირი—14 მან. სულ 1164 მანეთი. ამ რიგად ვალი შეძლებას 16 მან და 16 კაპ. აღემატებოდა, რაიც ნაჩვენები იყო სავაჭროს ზარალად. 17 თვის განმავლობაში სავაჭროს ჰქონია 466 მან. 16 კაპ. ხარჯი (სახლის ქირა, ნოქრების ჯამაგირი და სხვა). გამგეობამ იგი ანგარიში არ მიიღო და აი ამის საბუთად რა მოახსენა კრებას: ა) ანგარიშში ნაჩვენები გასასყიდი საქონლის რაოდენობა უნდა ყოფილიყო 657 მან. 89 კაპ. (და არა 644 მან. 17 კაპ.) ეს ჯამი შესდგა მაშინ, როცა სავაჭრო საქონლის ფასების განაწილებაში ყველა სარევიზიო კომისიისა და გამგეობის წევრნიც იღებდნენ მონაწილეობას; მისი შეკრება-შემცირება არ შეეძლო ორს ანუ სამს რევიზიის წევრს სხვის დაუკითხავად და შეუთანხმებლად; ბ) ამხანაგობის წევრთა კრების წინა საღამოს გამგეობას ერთის წევრის თანადასწრებით შედგენილი მოხსენება რევიზიის ისევ ორი-სამის წევრის სურვილით შესწორებულ იქმნა გამგეობისა და სხვა რევიზიის წევრთა დაუკითხავად; გ) ანგარიში ნოქრების დეკემბრის ჯამაგირი ვალად იყო ნაჩვენები როგორც მოუშორებელი, სავაჭროს ხარჯის ჯამში-კი იგი 14 მან. აღნიშნულია, როგორც მოშორებული, და დ) ბ-ნთ რევიზორთ არ მიიღეს გამგეობის მიერ აღნიშნული ანგარიშის წეს-რიგი საქმის ჯეროვან გამოსაკვლევად და არც გამგეობას დაუბრუნეს დავთარ-ანგარიშები, რომ თვით გამგეობას მაინც არის ამხანაგობის წევრთათვის სავაჭროს 17 თვის სრული ანგარიში წარედგინათ, წევრთა კრების გარდაწყვეტილების თანახმად.

გამგეობის მოხსენება კრებამ უყურადღებოდ დასტოვა და რევიზიის მოხსენება შეუცვლელად მიიღო. ამით ისედაც გამოურკვეველი საქმის ვითარება უფრო გამოურკვეველი დასტოვა და ბოროტსა და ავს საქმის ძირის გამომთხრელს ენას საკმაო სალაქლაქო მასალა მისცა.

რევიზიის მოხსენებაში ამხანაგობის სავაჭროს ზარალის (16 მან. 16 კ.) მიზეზად ბ-ნმა რევიზორებმა ნოქრებად ნამყოფთა უვარგისობა დაასახელეს და ერთმა წევრმა-კი ამ წლის გაზეთ „კვალის“ №9-ში სავაჭროს ძველ გამგეთა უვარგისობა.

*) იხ. „ივერია“ № 109.

ერთმა ქალთველმა შინაურის მასწავლებლის წოდებით: ელისაბ. ყიფიანისამ.

სულ წელს 6 ქართველმა ქალმა გაათავა სწავლა.

⁂ რადგანაც ქალაქის საყასბოზეის მოედანი, სადაც საქონელს შეაქუჩებენ ხოლმე, მეტად უსუფთაო მდგომარეობაშია, სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის საჭირო ფული გადასდეთ ხსენებულის მოედნის გასასუფთავებლად და მოსაკირწყლადაო.

⁂ ამ ჟამად უკვე გაყიდულია მთლად პირველი გამოცემა რუსულის წიგნაკისა „Правда о Тифлисѣ“, რომელიც დაწერილია ი. ს. გოგებაშვილის მიერ. მარტო ჭელიძისა და იმედაშვილის მაღაზიას გაუყიდია ორის კვირის განმავლობაში 100 ცალი. მაღაზიებს მოსდით კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეებიდგან მოთხოვნილება ამ წიგნაკის შესახებ, მაგრამ ვერ აკმაყოფილებენ, რადგანაც აღარც ერთი ეკზემპლიარი აღარ მოიპოვება გასასყიდად.

⁂ ქალაქის გამგეობას საგანი აღუძრავს იმის შესახებ, რომ საქალაქო საქონლის ბაკი ქვით იქმნას მოკირწყლული, რადგანაც ამ ბოლო დროს მეტის-მეტად უსუფთაოდ თურმე ინახება.

⁂ ფინანსთა სამინისტრო პროექტსა სწერს შესახებ იმისა, რომ მთელის რუსეთის აფთიექები ხაზინას გადაეცესო. ამ საქმის განსახილველად უკვე შემდგარია კომისია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სამკურნალო დეპარტამენტისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელნი.

⁂ ს. არბო (გორის მაზრა). ამ სოფლის მცხოვრებნი, რიცხვით 30 კომლი გლეხი და რამდენიმე კომლი აზნაური, სხვა ახლო-მახლო სოფლებთან შედარებით ნივთიერად ძალიან შეწუხებულნი და დაცემულნი არიან. აქაური ეკკლესია ხომ სოფლის მშვენებად უნდა ჩაითვალოს. სოფლის ერთს ნაკლულევანებას სკოლის უქონლობა შეადგენს. გლეხობა ეხლა ძალიან მოწადინებულია სკოლა გახსნას, მაგრამ ხარჯისა ეშინიან, ვაი თუ ვერ შევიძლოთ და ილაჯი გავიწყვიტოთო. მაგრამ, ვგონებთ, გულშემატკივარი აღმოუჩნდეთ. ეს არის ადგილობრივი მღვდელი მ. გიორგი, რომელიც შემოდგომიდგან ერთ-კლასიან სამრევლო სკოლის დაარსებას აპირებს; ამისათვის თავისს მხრივ ეკკლესიის შემოსავლიდგან ყოველ წლივ თხუთმეტ თუმანსა ჰპირდება. გარდა ამისა მ. გიორგის იმედი აქვს, რომ საქართველოს სამოსწავლო საბჭო დაეხმარება სოფელს ამ კეთილ საქმეში, ცოტაოდენს თვით გლეხობაც გამოიღებს და საქმე გაკეთდება.

⁂ აღტაგლია; 6 ივნისს მტკვარმა კიდევ გამორიყა ერთის დამრჩვალის ჯარის კაცის გვამი. ასე რომ აღტაგლიასა და ნავთლუღს შუა ამ რამდენისამე დღეში სულ თერთმეტი დამრჩვალი გამორიყა მტკვარმა, მათ შორის ათი ჯარის-კაცია და ერთი გარეშე კაცი.

⁂ დ. ცხინვალი. 18 მაისს, დ. ცხინვალში მზღუდრობა იყო. დღეობაზედ აუარებელი წვრილ ფეხი და სხვილ-ფეხი საქონელი ჩამოერეკა გლეხობას გასასყიდად; საქონელი ძალიან იაფად იყიდებოდა. ეს იარმუკობა არ იყო ისე საყურადღებო, როგორც შემდეგი გარემოება: ორი თუ სამი ცხინვალელი ხალხში დაძვრებოდა და იძახოდა: ვინც საქონელი გაყიდოს სულზედ შაური გადაიხადოსო. ამ სიტყვებმა ზოგიერთის ყურადღება მიიზიდა და ერთ-ერთს ფულის მკრეფავთაგანს ალექსანდრე ოვანოვს ჩაეკითხნენ, ვისის ნება-დართვით, ან ვის სასარგებლოდ ჰკრებავთ მაგ შაურებსო. პირველს კითხვაზედ ხსენებულმა ვაჟბატონმა პასუხი არ აღირსა. ხოლო შემდეგ გამოტყდა, რომ ფულები სომხების ეკკლესიის გალავნის ასაშენებლად იკრიბება, რადგანაც მორეკილი საქონელი სომხების ეკკლესიის მიდამოშიაცა დგებაო. სთქვა თუ არა ეს საითლაც გაძვრა და მიეფარა.

⁂ ჩვენ მავიღეთ „უდაბურ წყალწმიდის ძმობის“ გამოცემა № 6: „წმ. იოანე მოწყალე და ცხოვრება მისი“, გადმოღებული თ. სახოკიას-მიერ. წიგნაკი სუფთად არის დაბეჭდილი. შეიცავს 55 გვერდს პატარა ფორმატისასა და ღირს ერთ შაურად.

---

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

გაიარა მღელვარე, შფოთიანმა დღეებმა. მორჩა არჩევანები, სისხლი დაყუჩდა, ტრიხინამაც-კი გული გულის ალაგას დაიყენა, „კულტუროსანთა“ საბჭო შესდგა და ამ საბჭოში უკანასკნელ არჩევანებზედ ქართველები ასი $^0/_0$-ი ამოირჩიეს. იქნება არა გჯერათ? შემცდარი იქნებით, თუ არ დაიჯერეთ. აბა კულტუროსანთა გაზეთს „Нов. Обоз.“-სა ჰკითხეთ, თუ ვტყუი?

ამ გაზეთში წარსულს ოთხშაბათს ერთი ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტი იყო დაბეჭდილი, რაც, სხვათა შორის, იმასაც ამტკიცებდა, რომ ამ გაზეთის მემეთაურეს არითმეტიკისა დიდი ცოდნა ჰქონია. გნებავთ ეს ცოდნა გადაგიშალოთ? ინებეთ:

„20 რუს კანდიდატთაგან ამორჩეულ იქმნა 9 კაცი, ე. ი. 45$^0/_0$; 36 სომხთაგან, რომელთაკ კენჭი იყარეს, 18 კაცი ე. ი. თითქმის იმდენივე—50$^0/_0$; 2 ქართველთაგან ორივე, ე. ი. 100$^0/_0$-ი. დაზარალდნენ სხვა მცირე ეროვნებანი, რომელთა რაოდენობაც ტფილისში ძალიან ცოტაა: გერმანელები, პოლონელები, მაჰმადიანები და სხ. *)

*) თუმცა-და პირველ არჩევანებზედ რამდენიმე გერმანელი და პოლონელიც იქმნა ამორჩეული.

წაიკითხავთ ამ წერილს და გული სიამოვნებით აგევსებათ. აქ მთელი ამბავი, თვით შენიშვნაც-კი, თითქოს იმიტომ არის გამოკვარახჭინებული, რომ მღელვარე გულზედ დამამშვიდებელი ნელ-საცხებელი გადაგისვას და დაგაამოს, დაგაწყნაროს, ბედის უმადურს მისი სადიდებელი ხოტბა ამოგათქვენოს ბაგეთაგან. „ქართველნი 100$^0/_0$-ი ამოურჩევიათ, ცოტა უდიერად მოჰქცევიან მცირე ეროვნებათ, თუმცა-და“... ეს თუმცა-და ისეთი მშვენიერებაა, რომ მარტო ამისათვის გაზ. „Нов. Обозр.“-ს მემეთაურეს, ჩემს ხელთ რომ იყოს, საშვილიშვილოდ დავუმტკიცებდი „კულტუროსანთა“ საბჭოს „ღლასნობას“ და გულს დავუმშვენებდი იანცის პირველ ხარისხის ორდენით.

სულ საბჭოში ამ ჟამად 79 კაცს შორის 3 ქართველია და 60-მდე სომეხი. 2 ქართველი შეადგენს 100$^0/_0$-ს, მაშასადამე, სამი 150$^0/_0$-ი იქნება, ხოლო 60 სომეხი უნდა შეადგენდეს 3,000$^0/_0$-ს. ესეც არითმეტიკა გახლავთ, თუმცა არა ისეთი სწორი და უტყუარი, როგორიც არითმეტიკა „Нов. Обоз.“-სა, მაგრამ უფრო მართალი და უფრო ჭეშმარიტი-კი. დიაღ, სამოც სომეხთან სამს ქართველსა ჰხედავს და ეს უცნაური გაზეთი თავისის არა ნაკლებ უცნაურის არითმეტიკით არწმუნებს ქვეყანას, რომ ქართველობა 100$^0/_0$-ი იქმნა ამორჩეულიო, უდიერ ყოფილ იქმნენ მხოლოდ მცირე ეროვნებანი, თუმცა-და პირველ არჩევანებზედ იმათაც თავისი საკუთვნო მიეკუთვნათო. ამგვარად აშკარაა, რომ ეს ანგარიში თითქოს ორივე არჩევანს შეეხება და თვალ-ნათლად ასაბუთებს, რომ ყველანი მადლიერნი უნდა იყვნენ, რადგან ქართველები 100$^0/_0$-ი ამოვირჩიეთ და სხვა ეროვნებათ-კი რა ეთქმით, იმათ პირველ არჩევანის დროსაც გაიტანეს ლელოო. Ergo, რუსებს სამდურავი არ ეთქმით, ქართველები ხომ კრინტსაც ვერ დასძრავენ, რადგან იმათგან 100$^0/_0$-ია ამორჩეული, წვრილმანი ეროვნებანიც კმაყოფილნი უნდა იყვნენ, ვიღა დარჩა?.. მარტო ჩვენი „კულტუროსანი“ თანამოძმენი-ღა, რომელთაც, რასაკვირველია, არაფრად ესიამოვნებოდათ ქართველთაგან 100$^0/_0$-ის ამორჩევა. ასეა განა, ბ-ნო მემეთაურევ ქალაქის გამგეობის ლეიბორგანისავ?!.

ამ იეზუიტურს სამეთამატიკო ამოცანას რომ წაიკითხავენ, სულ სიცილით დაიხოცებიან შაუმოვის სელდები და არუთინოვის ტრიხინები!.. ამ სიცილს, რაღა დიდი გამოცანა უნდა, აჰყვებიან და ბანს მისცემენ თვით შაუმოვ-არუთინოვიც და სხვანი დედა-ბოძნი საქართველოში დარგულ „კულტურისანი“; თვით ბ-ნი თუმანოვიც ცალ-ყბად ჩაიკისკისებს და ასეთის მეცნიერებისათვის არა ერთ-გზის გადაჰხედავს თავ მომწონეთ ახალს საბჭოს, რომელშიაც იგი თავ-მოსაწონებელ ხმოსნად იქნება. ჩვენ-კი, ჩვენ რა გვეთქმის ამ განსაცვიფრებელ სამათემატიკო მეცნიერების წინაშე იმის მეტი, რომ ამ სიტყვებით არ მივმართოთ ბ-ნ თუმანოვს:

„შაბაშ კაცი, შაბაშ სიტყვა,
შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი!..“

ჩიორა

---

## შენიშვნა

(„განზრახულ თვალის ახვევის“ გამო).

„კვალის“ მე-21 №-ში დასტამბულია „წერილი რედაქციის მიმართ“, რომლისთვისაც ავტორს, ვიღაც დ—რის, სამართლიანად უწოდებია „განზრახული თვალის ახვევა“. რადგანაც ეს წერილი, სხვათა შორის, მეც შემეხება, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია ერთხელ კიდევ ავიღო კალამი ხელში და გამოვააშკარავო შეცდომა და „განზრახ თვალის ახვევა“ ბ-ნის გ. წერეთლისა და იმის ვექილის ბ ნ დ—რისა. „ნება მიბოძეთ, როგორც სამეგრელოს შვილმა, განვმარტო სიტყვა „მარგალისკუას“ (გ. წერეთელს კიდევ ეპატივება, რომ ამ სიტყვას შეცდომით სწერს, ხოლო „სამეგრელოს შვილმა“ უნდა იცოდეს, რომ სქუაა მეგრული სიტყვა და არა „სკუა“) მნიშვნელობა და შეძლებისადა გვარად გავითვალისწინო ის სასაცილო, თან სამწუხარო, უადგილო მითქმა-მოთქმა, რომელიც ატეხეს „საშინლად განკიცხულ მეგრელების წარმომადგენლებმაო“, იწყებს თავისს წერილს ბ-ნი დ—რი და აი, როგორ განმარტებას აძლევს ამ სიტყვას: „მარგალისკუა“ მეგრულად ჰნიშნავს გლეხს, მაგრამ ხშირად აზნაური მიმართავს აზნაურსვე ამ სიტყვით დასახასიათებლად მოწინაალმდეგის ზნეობრივ და გონებრივ ავლა-დიდებისა. ბ-ნმა გიორგი წერეთელმა სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარა სიტყვა „მარგალისკუა“, რაც სჩანდა მისი წერილის შინაარსიდგან და შემდეგ განმარტებიდგან ბ-ნ დუტუ მეგრელის თხოვნითო.

თუ რა აზრით და მნიშვნელობით იხმარა ბ-ნ გ. წერეთელმა სიტყვა „მარგალისკუა“, ამას მე აღარ გამოვეკიდები, რადგან შეცდომა რომ მოუვიდა, ეს ცხადია და ალბად აღარც თითონ ჰყოფს თავისს შეცდომას უარს, რაც სჩანს ბ-ნ მიტროფანე ლაღიძის იმ წერილიდგან, რომელიც „კვალის“ იმავე №-შია მოთავსებული, სადაც ბ ნ დ—რის გასამართლებელი სიტყვაა. „ვინ იტყვის, რომ ბ-ნ გ. წერეთლის წერილი „საით მივისწრაფვით?“ არ დაემახინჯებინოს იმ პაწია შეცდომას, რომელიც შემოეპარა მას თავისს წერილშიო“, ამბობს ბ-ნი ლაღიძე და ამბობს „კვალის“ ფურცლებზედ. მაშასადამე, „კვალის“ რედაქცია და თვით გ. წერეთელი თანახმანი არიან ამისი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ან სულ არ უნდა დაებეჭდათ წერილის ეს ადგილი, ან შენიშვნა მაინც უნდა გაეკეთებინათ მისთვის, რომ თანახმა არა ვართო. დიახ, ბ-ნი გ. წერეთელი შესცდა და მეც საჭი-

---

ეს უსაბუთოდ, მხოლოდ ლიტონის სიტყვით სხვის პატიოსნების შელახვა მარტო თიანეთის სავაჭრო ამხანაგობის წევრთ არ ეკიჟინება, იგი საზოგადო სენია. წინ-დაუხედავს, კერძო ანგარიშებით გამოწვეულს საქციელს ჩვენში არსებულ ამხანაგობათა მოსპობის საქმეში მცირედი ადგილი არ ეჭირა.

აი, თიანეთის სავაჭრო ამხანაგობის შვიდმეტი თვის არსებობის უტყუარი ანგარიში.

შვიდმეტის თვის განმამავლობაში ამხანაგობას გასასყიდად მოუტანია 6.557 მან, 69 კაპ. სავაჭრო. ამ სავაჭროს მოტანის ქირა და სხვა წვრილმანი ხარჯი მოსვლია 647 მან. 73 კაპ. 26 დეკემბერს 1896 წ. სავაჭროში აღმოჩნდა გასასყიდი საქონელი 657 მან. 89 კაპ. (და არა 644 მან. 17 კაპ., როგორც ბ-ნთ რევიზორთ უჩვენეს ამხანაგობას), ამ რიგად 1895 წ. 1 ავვისტოდამ 1896 წ. 26 დეკემბრამდე სავაჭროს გაუყიდნია 5899 მ. 80 კაპ. სავაჭრო. ამხანაგობის სავაჭროს გასასყიდის ფასების მიხედვით მთლად ამ დროს განმავლობაში მოტანილი საქონელი (6,557 მან. 69 კაპ.) რომ სულ მთლად გაყიდული აღმოჩენილიყო, სავაჭროს ერთობილი მოგება 626 მ. 70 კაპ. ექნებოდა, რაც შეადგენს დაახლოვებით 10$^0/_0$.

ამ მოგებას სავაჭროში აღმოჩენილი საქონლის შემოსასვლელი მოგება, ათის თვის ანგარიშით, 65 მან. 78 კაპ., რომ გამოვაკლოთ, მივიღებთ იმ მოგებას, რაც ამხანაგობას უნდა მიელო საქმის დაწყებიდან 1896 წ. 26 დეკემბრამდე 560 მან. 92 კაპ. აი ეს 560 მან. 92 კაპ. ექნებოდა სრული მოგება ამხანაგობას, თუ გადმოტანის და წვრილად გაყიდვის დროს არც არა დაებნეოდა-რა, არც არა გაუტყდებოდა-რა, არც არა დაელვრებოდა რა და ყველა სავაჭროს ტფილისში მიწყულ-მიზომილის თანასწორად გაჰყიდდა. ამავე დროს განმავლობაში ამხანაგობას სავაჭროს ქირა, ნოქრების ჯამაგირი და სხვა ხარჯი 479 მან. 18 კაპ. (და არა 466 მან. 16 კაპ.) მოუშორებია.

უკანასკნელს რევიზიას, რომ შეუსწორებელი და შეუცდომელი ანგარიში წარმოედგინა, მაშინ ამხანაგობას ხარჯის გარეითან უნდა ჰქონოდა ნაღდი მოგება 11 მან. 56 კ. მაშასადამე, ამხანაგობის მთელს მოგებას შეადგენდა (479 მან, 18 კაპ. +11 მან. 56 კ.)=490 მან. 74 კაპ.

ზევით აღვნიშნეთ ამხანაგობის მოგება 560 მან. 92 კაპ. და ანგარიშით-კი სჩანს 490 მან. 74 კაპ. დანაკლისი 70 მან. 18 კაპ. არ მიუღია სავაჭროს გადმოტანის და წვრილად გაყიდვის დროს დაბნევისა, დაფხვნისა და დაღვრისა გამო ნაყიდის საქონლის რაოდენობის დაკლებით.

5899 მან. 80 კაპ. სავაჭრო საქონელი (რომელთა შორის არა მცირედს ნაწილს შეადგენს ნავთი, შაქარი ბრინჯი, მარილი, ჭურჭელი და სხ.) წვრილად გაყიდვის დროს 70 მან. 18 კაპ. კი არა, უფრო მეტსაც კი დაიკლებს ტფილისში ნაყიდ რაოდენობასთან შედარებით, ეს გამგეობისათვის ნათელია და ამას ვაჭრობის ჩვენზედ უკეთ მცოდნენიც იმედია დაგვეთანხმებიან! აი საქმე ამ ყოფაში იყო და, სწორედ რომ ვერ გაგვიგია, რაღაა აქ ბოროტ-მოქმედებად აღსანიშნი.

მაგრამ დავეთანხმოთ ბ ნ რევიზორების მიერ აღნიშნულს 16 მან. 16 კაპ. ზარალს. ჩვენის ანგარიშით ამხანაგობის ნაღდი მოგება გამოიხატება 11 მან. 56 კაპ, რაიცა სულ შეადგენს 27 მან. 72 კაპ. განსხვავებას. აი, ამ 27 მან. 72 კაპ. გამო შვიდმეტი თვის განმავლობაში საქმის უსასყიდლოდ მწარმოებელს ამხანაგობის მიერ ამორჩეულს სამს კაცს და ორს ნოქარს ცილიც-კი დაგვწამეს ამხანაგობის ზოგიერთმა წევრებმა. ნუ თუ ცილს ადგილი უნდა ჰქონდეს იქ, სადაც ხუთის კაცის შრომაა (მათ შორის სამის ამხანაგობის მიერ არჩეულისა) და დანაკლისი-კი სულ 27 მან. და 72 კაპ.... აბა ამაზედ არის ნათქვამი აი, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და დიდს მანძილს ვერ გაივლისო!..

ი. ცისკარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდ დავინახე მეჩვენებინა მისთვის ეს შეცდომა; სხვა მე არაფერი დამიშავებია და კრინტიც-კი არ დამიძრავს იმაზედ, თუ ,,საით მივისწრაფვით?‘‘ დანარჩენში გონივრულია, თუ უგუნური. როგორც მეგრელისთვის და ,,კვალის‘‘ თანამშრომლისთვის ჩემ მოვალეობას შეადგენდა მეჩვენებინა გ. წერელისთვის მისი შეცდომა და მეც მაშინვე ვაჩვენე, თორემ რას ემსგავსებოდა, მაგალითად, რომ სწორედ იმავე №-ში, რომელშიაც „ვინღაც გადმოვარდნილ ხეჩო გოგებზე და მარგალი სკუებზე“ იყო ლაპარაკი, შემთხვევით ჩემი წერილიც აეწყოთ (ჩემი სალიტერატურო შენიშვნები, რომელნიც „კვალის“ № 18 და 20-ში დაიბეჭდა, ჯერ ისევ იანვარში აყო გაგზავნილი „კვალის“ რედაქციაში) და ქვეშ ჩემი პსევდონიმი: „დუტუ მეგრელი“ მოეწერათ?

დღესაც მხოლოდ სიმართლის აღსადგენად ვიღებ კალამს ხელში და ვამბობ, რომ სცდება ბ-ნი „სამეგრელოს შვილი“—დ-რი, როცა ამბობს: „მარგალი სკუა“ ჰნიშნავს გლეხს, მაგრამ ხშირად აზნაური მიჰმართავს აზნაურსვე ამ სიტყვებით დასახასიათებლად მოწინაალმდეგის ზნეობრივ და გონებრივ ავლა-დიდებისაო“. ვინ მოგახსენათ? მარგალი სქუა, როგორც ჩემ წერილშიაც ვამბობდი, მართალია, ჰნიშნავს გლეხსაც, მაგრამ სრულიადაც არ არის საზოგადო საგინებელ სახელად მიღებული სამეგრელოში, როგორც, მაგალითად ,,МУЖИКЪ‘‘-ი რუსეთში. ეს ბ-ნ გ. წერეთელმა მოიგონა და მოიგონა ერთობ გვიან: „კვალის“ მე-15 №-ში დაისტამბა მისი წერილი „საით მივისწრაფვით“? მე-16 №-ში ის აი როგორ ჰმართლულობდა თავს: „როგორ?გუნიას რომ მე „მარგალისკუა“ (მეგრელის შვილი) დავუძახო, განა ჩვენმა ღვიძლმა ძმებმა—მეგრელებმა ან ქართველებმა თავის შეურაცხყოფად უნდა მიიღონო“? და სხვა. ამ წერილში მარგალის ქუა მეგრელის შვილად არის ახსნილი და ერთი სიტყვაც-კი არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ მარგალის ქუა გლეხს ჰნიშნავსო. ეს მნიშვნელობა ბ. გ. წერეთელმა შემდეგ მისცა მარგალის ქუას, ალბად, მან „სამეგრელოს შვილის“ დ-რის რჩევითა და ჩაგონებით, და მას აქეთ გაიძახის: „მარგალს‘‘, მეგრელები უწოდებენ განუვითარებელს და მეც ამ მნიშვნელობით ვიხმარე ეს სიტყვაო. მარგალი, მარგალის ქუა ჰნიშნავს ჯერ მეგრელს, როგორც ცალკე ჯგუფის წარმომადგენელს საქართველოს ერისას და მერე გლეხს, როგორც წოდებრივ სახელს, მეტს არაფერს *). ამ მხრით ეს სიტყვა უდრის რუსულ ,,КРЕСТЬЯНИНЪ‘‘-ს და არა ,,МУЖИКЪ‘‘-ს; უკანასკნელის აზრით და მნიშვნელობით სამეგრელოში იხმარება სიტყვა ,,კუბაჴი‘‘ და სხ. და არა მარგალი. ეს ყოველმა მეგრელმა იცის და მიკვირს, „სამეგრელოს შვილმა‘‘, თუ ის მართლა სამეგრელოს შვილია და მეგრულის მცოდნე, როგორ არ იცის?

*) მე ძალიან საინტერესოდ მიმაჩნია იმისი ახსნა, თუ სამეგრელოში მარტო ერთი სიტყვით რად გამოიხატება მეგრელი და გლეხი? იქნება იმიტომ, რომ სამეგრელოს მკვიდრი გლეხები არიან და თავად-აზნაურნი მერე არიან მოსულნი ან გაჩენილნი.

ავტ.

,,პატივცემულ დუტუ მეგრელმა და კნ. დ. ფალავამ-კი ვერაფერი შორს გამჭვრეტელობა გამოიჩინეს... თუ მართლა ,,განკიცხულის მეგრელების‘‘ წარმომადგენლებს (ე. ი. თქვენს უმორჩილესს მონასაც, სხვათა შორის, რადგან ეს სიტყვები მე მქონდა ნახმარი ჩემ წერილში) ჰსურდათ ღირსეულად დაეცვათ მეგრელების ინტერესები, სად ბრძანდებოდნენ მაშინ, როცა თვით მეგრელებმა მთელს სამეგრელოს (რასაკვირველია, ,, განკიცხულის მეგრელების‘‘ წარმომადგენლებსაც) საჯაროდ უთხრეს: შენს საერთო (ქართველებთან) საქართველოსთან არაფერი გაქვსო, მეგრელების დედა-ენა მეგრულია და არა ქართულიო. მე მგონია, აქ იყო საჭირო ისტორიულ წარსულზედ მითითება, აქ უნდა მოეყარა თავი სამეგრელოს გონებრივ ძალასო“, დიდის ზარითა და ზეიმით ამბობს ბ-ნი დ—რი თავისის წერილის დასასრულს და ამნაირად მთელს სამეგრელოს შეგნებულ თაობას გვესაყვედურება, როცა მართლა საჭირო იყო, მაშინ არ გამოგიდვიათ თავი და ახლა ტყუილ-უბრალოდ ჰხარჯავთ „აუარებელ ტყვია-წამალსო“. განზრახული თვალის ახვევაც სწორედ ამასა ჰქვიან! თუ მართლა „სამეგრელოს შვილი“ ბრძანდება ბ-ნი დ-რი, უნდა იცოდეს, რომ ,,მაშინ‘‘-აც სწორეთ იქ ვიყავით, სადაც, მიგვიწვევდა ყოფნად ვალი მამულიშვილობისა. მიბრძანეთ, ბ-ნო დ-რი, თქვენი ვინაობა და ადრესი, და მე კერძო წერილით შეგატყობინებთ დაწვრილებით, რას ვშვრებოდი ,,მაშინ‘‘ მე, რას ვამბობდი და ვწერდი, ხოლო ამ ჟამად ნებას მივცემ ჩემს თავს მარტო მოვიყვანო რამდენიმე სტრიქონი იმ ჩემის ლექსიდგან, რომელიც დაიბეჭდა „საქართველოს კალენდარში‘‘ 1893 წელს და რომელსაც ეწოდება ,,მეგრელთა მიმართ‘‘, რომ თქვენ და თქვენისთანა დაბრმავებულმა და დაყრუებულმა, ან ახლად გამოჩენილმა ,,სამეგრელოს შვილებმა‘‘ ცალიერ ტრაბახობად არ ჩამომართვათ ეს, არა სასიამოვნო ყოველ გულ-წრფელ მოქმედისთვის, თავის გამართლება...

მეგრელნო, ყური დამიგდეთ,
მოგითხრობთ ძველსა ამბებსა,
. . . . . . .
მაგრამ ვაი—თუ შორს სტყორცნოთ
თქვენ ეს საბრალო რვეული,
სთქვათ, რათ ვკითხავთ ქართულსო,
როცა გვაქვს ჩვენი მეგრული?..
არა, არ იტყვით თქვენ ამას,
არ გაუხარებთ მტერს გულსა,
არ დაუჯერებთ იუდას,
მამულის გამცემს წყეულსა;
. . . . . . .
მოიგონებთ იმ დროს, როცა
თამართან ერთად მხნეობდით,
უსმენდით დიდსა ჭყონდიდელს,
რუსთველის ქნარით სტკბებოდით!
. . . . . . .
ნუ თუ იგივე არა ხართ,
დაეცით სულით ზნეობით?
არა, მრწამს, მტრისა განზრახვათ
ჩაჰფუშავთ თქვენის მხნეობით!..

აი, რას ვამბობდი და ვსწერდი სხვათა შორის მაშინ მე და თუ ბ-ნმა დ—რიმ ეს არ იცოდა, არც საყვედურის თქმის ნება ჰქონდა. ამით ვათავებ ყოველგვარ პოლემიკას ამ უსიამოვნო საგანზედ და, იმედია, „კვალის“ რედაქცია და თვით ბ-ნი გ. წერეთელიც დამეთანხმებიან, რომ ყოველი ახალი თავის გამართლება მათ მიერ, უფრო ავნებს ისევ მათ, ვიდრე სარგებლობას მოუტანს, თუნდაც მათ გამმართლებელ ვექილებად დ—რისთანა „სამეგრელოს შვილები“ ბევრნი აღმოჩნდნენ კიდევ...

დუტუ მეგრელი

## გაზეთ „ტფილისის ფურცლის“ უცნაური ტყუილი.

(წერილი ყაზახის მაზრიდგან)

„ტფილისის ფურცელში“ ამას წინად ქ. ყაზახიდგან საოცარი ფეხმოკლე სიცრუე იყო მოთავსებული. ვიღაც ახლად გამომცხვარი კორესპონდენტი ბ-ნი ბაზინოვი აღნიშნავდა, რომ ვითომ ყაზახის მაზრის ერთ სოფელთაგანში ისეთი სამკურნალო წყარო იყოს, რომელიც შესანიშნავად ჰმოქმედობს უშვილოობის წინაღდეგ და თან მოჰყავდა მრავალი ცრუ მაგალითები ამ წყაროს კეთილად მოქმედობისა, არწმუნებდა მკითხველებს, რომ მისის საშუალებით ბევრ უშვილო დედაკაცს მიეცა შვილი და ხსნა და ეხლაც ბევრსა ჰშველისო.

დიდად სოცარია, რომ „ტფილისის ფურცლის“ რედაქციამ დაუთმო ადგილი ამ ცხად სიცრუეს ვიღაც ბაზინოვისას, რომელსაც იმით მხოლოდ ჰეროსტრატის „სახელის“ მოპოვება მოუსურვებია. ადვილად საფიქრებელი იყო ამ გაზეთის რედაქციისათვის, ყაზახის მაზრაში რომ მაგ გვარი ძვირფასი და მეტად სასარგებლო წყარო ყოფილიყო, ნუთუ დღემდის ბაზინოვზედ მეტს აღარავის დაუვლია ეს მაზრა და არ მიუქცევია ყურადღება, როდესაც თითოეული ნაბიჯი ამ მაზრის მიწა-წყლისა მეცნიერთაგან მიჩხრეკ-მოჩხრეკილია.

რადგან ბაზინოვის მიერ გამოაშკარავებულის თვისების წყარო არამც თუ ყაზახის მაზრაში არ არსებობს, არამედ გაგონებითაც პირველად გვეყურება და „ტფილისის ფურცლიდგან“ ეს ჭორი რუსეთის რედაქციებს თავიანთ ჟურნალ-გაზეთებშიაც აღუნიშნავთ, უმორჩილესად ვთხოვ რუსულ გაზეთების რედაქციებს გადაბეჭდონ ეს ჩემი წერილი თავიანთ გაზეთებში.

ამასაც დავძენ, რომ ყაზახის სამაზრო სამმართველოს კანცელარიას რამდენიმე წერილი უკვე მოუვიდა რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან და სთხოვენ, შეგვატყობინეთ მართლა აგეთის თვისების წყარო არის, თუ არაო.

ამბროსი მერგი

## წერილი კახეთიდგან.

გაზაფხულის სიცივემ ყველა მცენარის ზრდა შეაყენა. ხშირმა წვიმებმა მინდვრის სამუშაო შეაგვიანა და ვენახიც გვიან იქმნა შემუშავებული. იგივე სიცივე იყო მიზეზი, რომ საზოგადოდ რქა-წითელი და საფერავი, ეს ორი უმთავრესი ჯიშის ვაზი მოსცდა, ანუ მეტად ნაკლებად გამოიტანა ყურძენი. უნდა შევნიშნოთ, რომ საფერავთან ერთად ხშირად უფრო მწვანე ვაზი ფუჭდებოდა აქამდის. რქა-წითელის ვაზი უფრო ამტანია სიცივისაცა და ყოველგვარ მაზარალებელ მოვლენისაც. წელსკი რქაწითელმა ნაკლებად დაისხა მწვანეზედ. ამისი მიზეზი წარსულის წლების ავადმყოფობის შედეგი უნდა იყოს. ამიტომ რქაწითელი და საფერავი ნაკლებ ამტან ვაზად უნდა ჩაითვალოს ვაზის ავადმყოფობისა, რადგანაც თუ მარტო სიცივისაგან დაზარალებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ გამოცდილება გვეუბნება, რომ ყველაზედ ნაზი და მგრძნობიარე ვაზი მწვანე უნდა დაზარალებულიყო. ეს ასე არ მოხდა. მაშ თუ რქაწითელი დაზარალდა სიცივით მწვანეზედ მეტად, უეჭველად თვით ვაზი წინადვე დასუსტებული და დაუძლურებული იყო ავადმყოფობისაგან. საკვირველი ის არის, რომ ყველაზედ კარგა გამოვიდა ესრედ წოდებული ფერადი ვაზი, ე. ი. ძაღლი-არჴამა, თავკვერი, კნაჴა, ობაყალი, ქანაანური და სხვ.

საჭიროა ცოდნით აღჭურვილთა გამოკვლევა, რომლის ჯიშის ვაზი უფრო ზიანდება ობითა, ნაცრითა და ბლეკროტით. დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ მხრივ არავინ აღევნებს თვალს კახეთის ერთად-ერთს მარჩენელს ვაზსა და ამიტომ სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ეს გარემოება. ვენახებს საზოგადოდ სხვა-და სხვა წეს-რიგითა სწამლობენ: ზოგმა კვირტი რომ გამოიშალა სამის თითის სიგრძეზედ, ჯერ გოგირდი შეაყარა და შემდეგ შაბიამანით უწამლა; ზოგმა მაისში, როცა-კი ამინდი ხელს უწყობდა, ჯერ შაბიამანით უწამლა, ზოგმა ეს წამლობა აპრილში მოასწრო და მაისში მეორედ უწამლა, შემდეგ შაბიამანით წამლობისა გოგირდი შეაყარა. რასაკვირველია, მომეტებულ გლეხთა ვენახები, რომლებიც ნახევარზედ მეტს შეადგენენ, სრულიად უწამლებელი დარჩა. გლეხთ იქ უწამლეს, სადაც კარგი და ბეჯითი ჩამგონებელი ჰყავდათ. უწამლს ვენახებში თვალ-საჩინოდ ეტყობა ავადმყოფობა, ფოთლის გარეშემო კუწუბები უკვე შეყვითლდა და მისდევს აქედამ ფოთლის შუაგულისაკენ სიყვითლე

წამლობამ კახეთში ახალი დარგი აღებ-მიცემობისა დაჰბადა. რაკი მემამულეებს შეუძლებლობის გამო არ შეეძლოთ წამლობა, აღმოჩნდნენ იმისთანა ვითომდა გულ-შემატკივარნი, რომლებიც სწამლობენ ვენახებს მოსავლის ნახევარს ($^1/_2$), მესამედს ($^1/_3$) და მეოთხედს ($^1/_4$) ნაწილზედ. მრავალი ვენახი არის ნაწამლი ამ სახით ალაზანს გაღმა გლეხებისაცა და თავადებისაც; ალაზან გამოღმაც ბევრი ვენახია ამ პირობით ნაწამლი, მაგრამ მაინცა გაღმა მხარეზედ ნაკლები. ერთს ამისთანა ახალის დარგის ვაჭარს, რომელსაც მექვაბეობისათვის თავი დაუნებებია და ლამის გაღმა მხარის მემამულეთა მონახევრე გახდეს მოსავალში, დავეკითხე, რამდენს შაბიამანს ჰხმარობს პირველს წამლობაზედ. რამდენი მუშა უნდება დღიურზედ, რამდენს გოგირდს ჰხმარობს და სხვ. ყველა მისგან ნათქვამი რომ უცვლელად მივიღოთ, დღიურის ვენახის პირველი წამლობა დაუჯდება 5 მ. და 90 კ., მეორე წამლობა 9 მ. და 10 კ., სულ 15 მან. თუ ხახეში მივიღებთ, რომ უმრავლესობა მარტო ერთხელ წამლობაზედ უდებს პირობას, გამოვა, რომ დღიურ ვენახის მესამედს იღებს 5 მ. და 90 კ, ან ნახევარს 15 მან. საშუალო მოსავლის დროს (რასაკვირველია, იმ ვენახებს არჩევს, რომლებსაც კარგად ასხია) დღიურზედ ორი საპალნე გამოდის, რაც ორთა შუა ფასით ჭაჭა-თხლიანად ღირს 160 მან., მაშ, ახალის დარგის ვაჭარი 5 მ. და 90 კ.-ში სამ თვე ნახევარს იღებს 53 მან. და 33 $^1/_3$ კაპ., ან 15 მანეთში ამავე ვადაზედ იღებს 80 მან. „კულტურა‘‘ არ არის, მაშ რა ეშმაკია!

ზევითა ვსთქვი, რომ „შეუძლებლობის გამო“ სხვა სწამლობს, მაგრამ ეს ისეთი შეუძლებლობა არ არის, რომელსაც ყოველივე ნდობა დაკარგული აქვს. არა, ეს ის „შეუძლებლობაა“, რომელიც ქართულს ოჯახს მუდამ თან ახლავს და რომელზედაც არის დაფუძნებული 60% დაწყობილი 300% მდე აღება. ამავე ოჯახს, რომელიც წლის მოსავლის ნახევარსა და მესამედ ნაწილზედ აწამლებინებს, რომ მოუკვდეს ვინმე, სამარხად სამჯერ-ოთხჯერ მეტს ვალს აიღებს, რასაკვირველია, უფრო ნაკლებ %, რადგანაც თუნდა 100%-ად იშოვოს, მაინც ზემორე ანგარიშთან იაფი იქნება, მწამლებელს მოსდის 1,500%-ზედ არა ნაკლები. აქედამ ცხადია, რომ „შეუძლებლობა“ თავის-თავად არ არის მიზეზი ამასთან ულმერთო %%-ის ძლევისა. აქ მიზეზი მემამულეთა უცოდინარობაა თვით წამლობისა და მისის ხარჯის რაოდენობისა. დიაღ, ამ უვიცობამ ჩაუყარა მემამულენი ახალის დარგის ვაჭარს ხელში. უვიცობას მოუცლელობაც ზედ ემატება. გლეხ კაცს ვენახის პირველსა და მეორე წამლობის დროს მინდორზედ მრავალი საქმე აქვს, რომლის გადადებაც არ შეიძლება. ამას ზედ ემატება ვერმორელის მანქანის სიძვირე. ყველა ეს გარემოებანი ხელ-ფეხს უკრავს მემამულეს და ან უწამლელად სტოვებს, ან ზემორე ნაჩვენების პირობით აწამლებინებს. ორსავე შემთხვევაში დამღუპველს გზას ადგება.

ამ სამის მიზეზის ასაცილებლად საჭიროა: 1) ყველა ინტელიგენტთა დახმარებით წამლობის ცოდნა უნდა გავრცელდეს; 2) ვერმორელის მანქანა იმდენად უნდა დაპატარავდეს და დასუმბუქდეს, რომ დედა-კაცს შეეძლოს მისი ხმარება; 3) მანქანები სასოფლოდ უნდა იყოს შეძენილი, თუნდა იმ ფულით, რომელიც თითქმის ყველა სოფელსა აქვს და რომელსაც მაღაზიის ფულს ეძახიან.

თუ მომავალს წელიწადსაც ასე მოუმზადებლები დავხვდებით, ზემო კახეთმა ხელი უნდა დაიბანოს თავის მარჩენელ ვაზზედ, რადგანაც ან უწამლობით და ან ასეთის პირობით წამლობის გამო ვენახი, სასარგებლო-კი არა, დიდად მაზარალებელ საქმედ გადაიქცევა.. ეს გარემოება, ვგონებ, ყველასათვის საყურადღებო უნდა იყოს.

ნადიკვრელი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ზუგდიდი** (სამეგრელო), 2 ივნისი. ჩვენს მხარეში ამ ჟამად ისეთი გვალვაა, რომლისთანაც სწორედ დიდი ხანია აქაურ მკვიდრთ არ უნახავთ. საშინელმა სიცხე-პაპანაქებამ, რომელიც აგერ ორი თვეა, რაც ჩვენში სულ ერთნაირად ულმობელად მძვინვარებს, ღამის სული ამოგვართვას. უოველგან ქუჩებში მაღლა ამდგარი მტვრის გრიგალი ისე მედგრად დააქქუხს, რომ ადამიანს ქუჩაზე

გამოსვლისა ეშინიან და სახლში მომწყვდეულია, მაგრამ აქაც თავი სიცხისაგან ვერ დაუფარავს და საწყალს ისე ეხუთება სული, რომ ქშენაც-კი გასწორებია.

წვიმისა არსაიდგან არა ისმის-რა. ულყვლისფერი, კაცი თუ პირუტყვი, ფრინველი თუ მცენარე, უწვიმობის გამო ძალიან შეწუხებულია. ზოგან რუ ნაკადნიც, დელე-წყაროებიც ერთობ მიარიანად ამოშრა, მიწას პირი საშინლად დაუსკდა. ხვნა-თესვა შეჩერებულია და თუ სადმე „ნაადრევ“-ს სიმინდს აქა-იქ ობლად თავი ამოუყვია, ისიც შეუბრალებელს სიცხე-პაპანაქებას გაუხრუგაუხუხავს. მეტადრე საწყალი გლეხი, ხედავს რა ამას გაოცებული, თვალ-ცრემლიანი იგრებს გულზედ ხელებს და სასოებას ეკვეთება.

განრისხებულმა ბუნებამ მარტო ეს სასჯელი არ გვაკმარა და უხვად გამოგვიგზავნა იმისთანა ქურდ-ბაცაცები, რომლებმაც დაასრულეს ის, რაც ულმობელმა გვალვამ დაგვაკლო. ამ ქურდბაცაცების თავ-ხედობა იქამდისაა მისული, რომ ყველგან თავისუფლად დათარეშობენ და დღისითაც-კი ეცემიან მგზავრებს თავზე, სძარცვავენ, სამოვარ ადგილებიდამ საქონლებს იტაცებენ და ღამით ხომ ხელს ვინ უშლის სოფლის ბედ-იღბლის ჩარხი თავის ნებაზედ ატრიალონ. მე აქ ბევრს მარცვა-გლეჯვისა, კაცის კვლისა და სხვა ბოროტების მაგალითებს დავასახელებდი, მაგრამ ადგილი, სამწუხაროდ, ნებას არ გვაძლევს.

ყვლეფა მარცვამ, ქურდ ბაცაცობამ, კაცის კვლამ და სხვა მრავალ ბოროტებამ, ამ ჩვენის ხალხის გონებრივად, ზნეობრივად და ეკონომიურად დამაქვეითებელმა მოვლენამ, სამწუხაროდ ჩვენში უფრო და უფრო გაიდგა ფეხი და ამ ქურდ-ბაცაცების წყალობით უმრავლესობა საშინელს სიღატაკეში ვარდება, ცხოვრების უკანასკნელი სახსარი ხელიდგან ეცლება.

დიაღ, ქურდობა და ყოველგვარი ბოროტ-მოქმედება ჩვენში ხშირია, მაგრამ სად არის კაცი ყველა ამაებს შემლებისა და გვარად შეებრძოლოს და ბოლო მოუღოს? კარგი იქნება და, ვგონებ, რომ მოვალენიც არიან ისინი, ვისიც ჯერ არს ყურადღება მიაქციონ ამ ფრიად სამწუხარო მოვლენას და თუ სულ გულ-გრილნი და საქმის უნარმოკლებულნი არ არიან, უთუოდ რაიმე საჭირო ღონისძიებას იღონებენ ქურდბაცაცების ასალაგმად მაინც.

მიხაკო ვერმიცანაშვილი

# უცხოეთი

—

**კრიტი.** გაზეთი „Neue Freie“ იუწყება, რომ საფრანგეთი ურჩევს ევროპის სახელმწიფოთ კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ ჰოლანდიის ანუ ბელგიის ქვეშევრდომი დანიშნეთო. ამ ჟამად ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი ადგილობრივ რაზმის შედგენის ზრუნვაში არიანო. ოსმალეთის ჯარის გაწვევის შემდეგ ამ რაზმს მიენდობა კრიტზერ მყუდროების და მშვიდობიანობის დამყარება. უკვე გადაწყვეტილია, რომ ამ რაზმის შესანახად საჭირო თანხა, 100,000 ფრანკი, ისესხონ. მოლაპარაკება ამ საგნის შესახებ უკვე არის სახელმწიფოთა შორის დაწყებული და ყველა მოწადინებულია, რაც შეიძლება მალე მოაწყონ საქმეო. საყურადღებო ის არის, განაგრძობს გაზეთი, რომ საბერძნეთის ზოგიერთი გაზეთები ამავე აზრისანი არიან და ურჩევენ კრიტელებს თვით-მმართველობა შემოიღეთო.

**ინგლისი.** მთელის ინგლისის ყურადღება ამ ჟამად დედოფალ ვიქტორიას იუბილეზეა მიქცეული. ყველა, დიდი თუ პატარა, მარტო ამ საგანზედ-ღა ჰფიქრობს და გაფაციცებით ემზადება ამ დღესასწაულისთვის. ასე გასინჯეთ, პოლიტიკოსებმაც-კი მიანებეს თავი თავიანთ პოლიტიკას და იუბილეის თავდარიგს შეუდგნენ. ამ უზარ-მაზარის სახელმწიფოს ყველა კუთხეში ცალკე კომიტეტები შესდგა, რომელთაც უნდა განაგონ საიუბილეო დღესასწაულები. ბრიტანიის დედა ქალაქში, ლონდონში, იუბილეის გამო იმდენი ხალხი იყრის თავს, რომ შენობები და სურსათი აღარ ჰყოფნით. გაზეთების სიტყვით, სამ მილიონზედ მეტი ხალხი მიაწყდება ლონდონს, ასე რომ მთელს ქალაქში იუბილეის დროს 10 მილიონი ადამიანი მეტი იქნება. ახალშენთა წარმომადგენელთ თან აუარებელი ძვირფასი საჩუქრები და მისალოცავები მიაქვთ. ამას გარდა, ათასგვარი შემოწირულებანი იგზავნება ლონდონში სხვადა-სხვა საქველ-მოქმედო აზრით. გაზ. „Daily Tel.“-ს 300,000 მან. შეუკრებია საავადმყოფოთა სასარგებლოდ, მასსონებს 75,000 მან. შეუწირავთ ღარიბებისთვის, მოვაჭრეებს — 240,000 მ. ღარიბების გამოსაკვებად და მრავალი სხვა. ერთის სიტყვით, ჩვენებურს არც-კი შეუძლიან წარმოიდგინოს, ინგლისელები როგორც არიან გახარებულნი და გატაცებულნი ამ იუბილეით. ამ დღისთვის ყველა ივიწყებს თავისს საჭირ-ბოროტო ვარამს და მხოლოდ დედოფალის შესახებლა ჰფიქრობს.

ინგლისის დედოფალი ვიქტორია ეს სამოცი წელიწადია, რაც ინგლისის ტახტზედ ჰზის და ამ ხნის განმავლობაში ინგლისის წარმატება და კეთილდღეობა ერთი ასად წინ წავიდა. ყოველს საქმეში, ყოველს შეტაკებაში სხვა სახელმწიფოებთან ინგლისი გამარჯვებული გამოდიოდა და ეხლაც სახელმწიფოთა შორის პირველი ადგილი უჭირავს. აი სწორედ ეს გარემოებაა იმისი მიზეზი, რომ ინგლისელები ისე გატაცებით ეგებებიან ვიქტორიას იუბილეის. ამ იუბილეით ინგლისი დღესასწაულობს არა მარტო დედოფლის 60 წლის მეფობას, არამედ მთელის ინგლისის ერის 60 წლის კეთილდღეობას და წარმატებას.

# ნაკვესი

—

ორი ვაჭარი შეეკამათნენ ერთმანეთს, მე უფრო ყოჩაღი ვარ ვაჭრობაში და არა, მე უფროო. ბოლოს ერთმა უთხრა:

— ვიდრე შენ მე ერთხელ გამყიდდე, მე ათჯერ მოვასწრებ შენს გაყიდვასაო.

— ეგ მართალიაო, უპასუხა მეორემ: მართალია, რადგან შენში ერთს გასხვრეტილს ბისტსაც არავინ მომცემსო.

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ვერაფრად სასიამოვნო არის, კაცს რომ ხელზედ მეჭეჭები გამოუვა. ზოგჯერ თითო თითზედ რამდენიმე მეჭეჭია ხოლმე. მეჭეჭის წინააღმდეგ მედიცინამ მრავალი უებარი საშუალება იცის: ამოჭრა დანით ანუ მაკრატლით, ამოგლეჯა, დაწვა სხვა-და-სხვა წამლებითა და სხვ. მაგრამ საზოგადოდ ხალხი ამ გვარ საშვალებას ერიდება და ბევრი გარბის მკითხავთან და სოფლის მითამდა ექიმებთან მეჭეჭის მოსარჩენად. ბევრსა სჯერა, რომ მეჭეჭს მოარჩენს წითელი ძაფი, ქათმის კუჭი და სხვ. ერთი სულ უბრალო საშვალება არის თურმე მეჭეჭის წინააღმდეგ. აიღეთ მჟავე ვაშლი, შუაზედ გასჭერით და მეჭეჭს წაუსვით ხოლმე. ამასთან საჭიროა ყოველთვის სხვა ახალი ვაშლი გასჭრათ ხოლმე. რაც უფრო მჟავე იქნება ვაშლი, მით უკეთესია. ერთისა ანუ ორის კვირის შემდეგ მეჭეჭი დაპატარავდება, გაშავდება და ბოლოს სულ ერთიანად გაქრება. ეს საშუალება სრულიად უვნებელია და ყველას შეუძლიან სცადოს.

(„Б. З.)

* * *

შარშან აღმოაჩინეს ეგრედ წოდებული „ნავთის კრეაზოტი» (нефтяной креозотъ). ერთი ხუროთ-მოძღვარი—ბ-ნი მაიერი ამტკიცებს, რომ ეს კრეაზოტი ყავარს ძლიერ კარგად ინახავსო. კრეაზოტით გაჟღენთილს ყავარს წვიმა და წყალი ვერაფერს აკლებს თურმე, არა ლპება და დიდხანს ინახება. ამასთან ნავთის კრეაზოტი ძლიერ იაფია, ფუთი ღირს 17—18 კაპეიკად. კრეაზოტით გაჟღენთილ ყავარს ზემოდგან წაუსვით წამალი, რომელსაც წყალი არ გადარეცხავს და ყავარი ძლიერ დიდს ხანს გასძლებს („н. в.“)

* * *

რუსულ გაზეთებში ხშირად იბეჭდება ხოლმე განცხადება, რომ „კუზმიჩის ბალახი“ (Ephedra vulgaris) ყველა ავადმყოფობას არჩენსო. ამ ბალახით სწამლობდა ხალხს სოფლის ექიმბაშობაში კუზმიჩი და სიცოცხლის დროს არავის ეუბნებოდა, რა წამალი იყო ეს წამალი. კუზმიჩის სიკვდილის შემდეგ ეს საიდუმლო გამოაშკარავდა და ეხლა ძლიერ ბევრნი ჰყიდიან კუზმიჩის ბალახს ანუ ეფედრას. ერთი გირვანქა ბალახი იყიდება 2, 3 და 5 მანათად. ასეთი სიძვირე ამ ბალახისა საკვირველიც არ არის, რადგანაც გაზეთების განცხადებაში გამყიდველნი დიდს ფულსა ჰხარჯავენ. ეს ბალახი —(ეფედრა) სულ ექვს შაურად იყიდება გირვანქა მოსკოვში ფერეინის სააფთიაქო მაღაზიაში (Москва, Никольская ул. магазинъ феррейна) და პეტერბურგში-კი გირვანქა—ერთ აბაზად (Рус. общ. для торговли аптекар. товарами).

* * *

თუ ვინიცობაა საჭიროდ შეიქმნა ძველ ღვინის გადასხმა ახალს ბოჩკაში, ეს უკანასკნელი ჯერ რამდენჯერმე კარგად უნდა გამოირეცხოს. პირველად ადუღებული წყალი უნდა ჩაასხათ ბოჭკაში და კარგად აჭანჭყაროთ. მერე ბოჩკა უნდა დასცალოთ, ვიდრე წყალი გაცივდებოდეს. ასე უნდა გამორეცხოთ ბოჩკა ორჯერ. მერე ცივის წყალით გამორეცხოთ და წყალი გადაღვაროთ. შემდეგ ცივისავე წყალით გაავსოთ და ერთ დღე-ღამეს დასდგათ. მერე დასცალოთ და კარგად გააშროთ ბოჩკა. გოგირდის ბოლიც კარგია ახალ ბოჩკისათვის. აგრეთვე ურიგო არ იქმნება, პირველად როცა რეცხავდეთ ბოჩკას, ცოტა ნაცარი გაურიოთ.

## გადამდების სენის გამო

(წერილი ქსნის-ხეობიდგან)

ს. ოძისში 1 თიბათვეს გარდაიცვალა გადამდების ავადმყოფობით კიდევ მოსე ჩიტიშვილის ბიჭი. საკვირველია, რომ ეს ერთი მუჭა სოფელი ლამის განადგურდეს. უფრო საკვირველია ის, რომ გადამდებს ავადმყოფობის მძვინვარება აქ არავისა სწამს და ურწმუნო თომასავით უარჰყოფენ ჭეშმარიტებას. თუმცა, მართალია, ს. ახმაჯში ერთის მეტი არ გარდაცვლილა გადამდების ავადმყოფობით, ანუ, როგორც მცხოვრებნი უწოდებენ, „მოსახადით,“ სამაგიეროდ ს. ოძისს მუსრი ევლება. სამწუხაროა, რომ ხსენებული „მოსახადის“ ჭეშმარიტი სახელწოდება ვერ შევიტყეთ ექიმის მოუსვლელობით. კაი ხანია ზოგი „შავსახადს“ გაიძახის, ზოგი „წითელას“, ზოგი „მუცელას“ და ზოგიც „გულ-ღვიძლის წვას“. ღმერთმა ყოველივე სოფელი დაიხსნას ასეთის უპატრონობისაგან!..

თქვენმა დამაწყევარმა წაიღოს ამ სოფლის ბედ-იღბალი და ცოდვა, მაგრამ საქმე მარტო ოძისი როდია! საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ქსნისხეობაზედ ეხლა „ლომისის“ დღეობაა, შეიძლება აუარებელ მლოცველთა მიმოსვლით სენი უფრო გავრცელდეს, რადგან მლოცავი ბუზივით აირია და მოდიან სხვა-დასხვა სოფლებიდგან ურმებით, ფურგუნებით, „პოვოსკებით“ ჯორებით და ცხენებით. მლოცავთა შორის ნაავადმყოფარი და ავადმყოფიც ბევრია, რომელთა დაუძლურების განსახილველად (იქნება სენის მოხდის შემდეგაც) „მკითხავთა“ ლომისის ჯვარი უსწავლებიათ.

ისინი თეთრის ტანისამოსით არიან და, გნას-გამოცლილ საქონელივით, მილასლასებენ ხატისკენ „კურატებით“. მლოცავთა მიმდინარეობა ჯერ არ შეწყვეტილა და, თუ შეუკრთნენ სენიანებიც,—თქვენი მტერია! მოედება მარტო ქსანს კი-არა, არამედ ქართლსაც.

ჯერ, მანამ დღეობის მლოცავი დაიძროდა, ახალდაბაში (ახმაჯიდგან ორი ვერსია) „სახადი“ დაერია. ზოგი მოკვდა, ზოგი კვდება და ზოგნიც ავად არიან. ეჭვს გარეშეა, რომ „ახალდაბაში“ სენი ახმაჯიდგან გადავიდა, ან „ახალდაბიდან“ „ახმაჯში“, სადაც მოჰკლა ერთი და რადგან ახმაჯელები თავიდგანვე ჭკვიანად მოიქცნენ და მოერიდნენ, დაეტაკა ოძისს, სადაც საკმარისი რიცხვი იმსხვერპლა. „ახალდაბაში“ მძვინვარებს, „სახადი“ და ოძისს სხვა უცხო გადამდები ავადმყოფობა ეწვია, რომელიც ნელ ნელა ჰხოცავს ხალხსა.

უბედურებაა! უბედურება წერეაული, რადგან მცხოვრებნი, ავადმყოფების პატრონები პოლიციის წინაშე არას აცხადებენ შიშით: „ექიმი დაგვიწვამს მკვდრებს, განურჩევლად დაგვიბუგვენ ტანთ-საცმელს ვაი-ვაგლახით შეძენილსაო“...

ბ-ნი „ახალგორელი“ სრულიად უსამართლოა, როდესაც გაიძახის: „ს. ოძისსა და ახმაჯში არაცითარი გადამდები ავადმყოფობა არ ყოფილაო“. იყო და არის კიდეც, ხოლო ის-კი სიმართლეს მოკლებულია, რომ ექიმს, არამც თუ გადამდები ავადმყოფობის დროს, არამედ ერთი წელიწადია ოძისი და ახმაჯი არ უნახავს. ამის საბუთს, როგორც ყველა დაწვრილებით თავის გამართლებას, კორესპონდენტი გამოამჟღავნებს იმ გაზეთში, რომელშიაც „ახალგორელის“ წერილი იყო დაბეჭდილი.

ჩვენ, მოხევენი, ჩვენის მხრივ აღვნიშნავთ, რომ ბ ნი „ახალგორელი“ თვით მოწამეა ყველა ზევით დასახელებულის შემთხვევის და იოსებ ქაიხოსროს ძე ჩიკოიძემ ძალიან კარგად იცის, რომ მის მიერ ნაქები ექიმი 2 თიბათვეს დიდს ამბავში იყო სოფ. ახალგორში და ერთის ოჯახის გემრიელს სუფრას ხალხის ჯანმრთელობა ანაცვალა მაშინ, როდესაც პატივცემული აბაზაძე ერთი კვირაა ეხვეწება: „მუხრანში ხალხი ყვავილით გვეღუპება, მოგვეშველე, გვიწამლე რამეო“; როდესაც ს. ოძისზედ ერთი თვეა ლაპარაკია გადამდების ავადმყოფობის შესახებ, როგორც გაზეთში, კერძოთ და ოფიციალურადაც შეტყობინებულია. „ახალდაბაში“ ერთი თვეა „სახადი“ მძვინვარებს და არც პირველს, არც მეორეს და არც მესამეს ექიმმა არ მიხედა. სამწუხაროდ, ბ-ნ ახალგორელმა მეტად აამღვრია წყალი და სიმტყუნეს სამარე უნდა გაუთხარო, თუმცა სამწუხარო ისაა, რომ „ახალგორელი“ „უდღეოდ“ დაიბადა, ეკამათება ალექსანდრე ერისთავს მაშინ, როცა ხალხი შუაში იჟლიტება.

მოხევე

პეტერბურგის ბირჟა, 6 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | — „ | — „ | 7,50 |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $206^{1}/_{4}$ |
| $4^{1}/_{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 101 |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^{3}/_{4}$ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | $101^{3}/_{8}$ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $99^{3}/_{4}$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | — „ | $99^{1}/_{2}$ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | $284^{1}/_{2}$ | — | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — | $246^{1}/_{4}$ |


# განცხადებანი

ახლად გამოვიდა და ისყიდება

ИОАНЕ МОЎЯАЛЕ [sic — printed in Georgian capitals: იოანე მოწყალე]

და

ცხოვრება მისი 1 სურათით.

გამოცემა უდაბურ წყალ-წმიდის ძმობისა, თარგმანი თ. სახოკიასი. წიგნი 55 გვერდია და ღირს ერთი შაური.

ისყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში და მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბაში.

(3—120—1)

# ისყიდება

ნაჭერი მიწა ვერაზედ, ხიდს გაღმა, საბალოსნო სახელოსნოს მარჯვნივ გლავაჩეკ.

(2—106—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ 7 го Юнія 1897 г

სტამბა ჟ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.